დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2026 წლის 08 ივნისის N 55 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პოლიტიკის დოკუმენტი ვიდეომონიტორინგის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების განხორციელების შესახებ

სსიპ კოლეჯი ერქვანი“ უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს მისი მომხმარებლების (ვიზიტორების), დასაქმებულების, სტუდენტების/მსმენელების და სხვა ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვას, შესაბამისად იგი პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კოლეჯის მიერ ამ სფეროში დამტკიცებული პოლიტიკების შესაბამისად.

მუხლი 2. პოლიტიკის მიზანი

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პოლიტიკის მიზანია კოლეჯის, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მიერ უშუალოდ, ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად ვიდეომონიტორინგის მიზნისა და მოცულობის, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობის, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესისა და პირობების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და შესაბამისი პროცედურების დადგენა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პერსონალური მონაცემი** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;
ბ) **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის

სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

გ) **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი** – მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა;

დ) **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

ე) **მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

ვ) **მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

ზ) **ვიდეომონიტორინგი** – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა).

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. კოლეჯის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება შემდეგი ლეგიტიმური მიზნებისთვის:
   1.1.დანაშაულის თავიდან აცილება;
   1.2.დანაშაულის გამოვლენა;
   1.3.პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა;
   1.4.არასრულწლოვნის დაცვა (მათ შორის მავნე ზეგავლენისგან დაცვა);
   1.5.სხვა საჯარო ან/და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულება, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული ვიდეომონიტორინგი წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებას.
2. ვიდეომონიტორინგის მოცულობა გულისხმობს იმ სივრცეებს, მათ შორის კოლეჯის როგორც გარე, ასევე შენობის შიდა პერიმეტრში არსებულ

ადგილებს, რომლებიც ექცევიან კოლეჯის მიერ განთავსებული ვიდეოკამერების ხედვის არეალში.

3. კოლეჯის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.
4. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კოლეჯის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე, შენობის შიდა საერთო სივრცეებსა და კიბის უჯრედებზე.
5. ვიდეომონიტორინგი არ მიმდინარეობს ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში, გამოსაცვლელ ოთახებში, ასევე ისეთ სივრცეებში, სადაც მონაცემთა სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს, მაგალითად, დასაქმებულებისა და სტუდენტების/მსმენელების კვებისთვის განკუთვნილ სივრცეში.
6. თითოეული დასაქმებული და სტუდენტები/მსმენელები წერილობით გაფრთხილებულია ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე.
7. შენობის, როგორც გარე, ისე შიდა პერიმეტრზე, კერძოდ, ვიდეომონიტორინგის განხორციელების ყველა სივრცეში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესახებ. აღნიშნული გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა

1. კოლეჯის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება მუდმივად, კერძოდ, 24/7 რეჟიმში.
2. ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა არის 30 (ოცდაათი) დღე (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული), აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ვიდეოჩანაწერები იშლება პროგრამულად, ავტომატური გზით.
3. ვიდეოჩანაწერის შენახვის ზემოთ აღნიშნული ვადის ხანგრძლივობა პროპორციული და ადეკვატურია წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, პრაქტიკაში მათი ეფექტიანი რეალიზების უზრუნველსაყოფად. ვიდეოჩანაწერების შენახვის 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა წარმოადგენს გონივრულ პერიოდს, რა დროსაც შესაძლებელია საჭირო გახდეს კონკრეტული ვიდეოჩანაწერის მოძიება და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება, კოლეჯის მიერ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კანონიერი ინტერესების სფეროს მიკუთვნებული ამოცანების ეფექტიანად განსახორციელებლად.

მუხლი 6. ვიდეოჩანაწერზე წვდომის, შენახვისა და განადგურების წესი/პირობები

1. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც რეალურ დროში (ე.წ. „Live“ რეჟიმი), ასევე, მათი შენახვის ვადის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვიდეოჩანაწერების ნახვა, დათვალიერება, გადახვევა, გადმოწერა.
2. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებული ვიდეოჩანაწერები განთავსებულია დამოუკიდებელ პროგრამულ ქსელში, რომელიც მარშუტიზატორის მეშვეობით დაკავშირებულია ვიდეოჩამწერ მოწყობილობებთან. ვიდეოჩამწერ მოწყობილობებზე გარეშე პირ(ებ)ის ფიზიკური წვდომა შეზღუდულია, კერძოდ, ისინი განთავსებულია ცალკე გამოყოფილ, შესაბამისი საკეტით დაცულ ოთახში, რომლებზეც წვდომა გააჩნია კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს.
3. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებულ ვიდეოჩანაწერებზე სრული უფლებებით (რეალურ დროში დაკვირვება, გადახვევა, გადმოწერა, წაშლა) წვდომა აქვთ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს . ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომისთვის/სისტემაში შესასვლელად განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა სპეციალისტს გააჩნია ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომის სრული უფლებები, კერძოდ, მას შეუძლია განახორციელოს ვიდეოჩანაწერების რეალურ დროში დაკვირვება, ვიდეოჩანაწერების გადახვევა, დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, განადგურება.
5. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებულ მონაცემთა დაინტერესებულ მესამე პირთათვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა გადაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის/პროცედურის შესაბამისად.
6. ვიდეომონიტორინგის შედეგად დამუშავებულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება (მათ შორის, ვიდეომონიტორინგის სისტემაში შესვლა, სისტემიდან გასვლა, ვიდეოჩანაწერების დათვალიერება, გადახვევა, გადმოწერა, წაშლა, აღნიშნული ქმედებების განხორციელების ხანგრძლივობა და თარიღები) ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში/სისტემაში ფიქსირდება და აღირიცხება პროგრამულად.
7. კილეჯის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. ვიდეოჩანაწერებზე წვდომის მქონე კოლეჯის უფლებამოსილ თანამშრომლებს ეკრძალებათ, პირადი ან სხვა არალეგიტიმური მიზნით, სამსახურებრივად მათ გამგებლობაში/მფლობელობაში არსებული ვიდეოჩანაწერების ნებისმიერი ფორმით დამუშავება, მათ შორის მათი ნახვა, დათვალიერება, მოსმენა, გადახვევა, გადმოწერა, გამჟღავნება, წაშლა ან/და განადგურება. ხსენებულ

პირებს ეკისრებათ, მათ ხელთ არსებული გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში, აღნიშნული პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებულ ვიდეოჩანაწერებზე უკანონო წვდომის, ინციდენტის ან სხვა პერსონალური მონაცემების ხელყოფისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედების გამოვლენის ან/და დაფიქსირების შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნული გარემოების თაობაზე დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, შეატყობინოს კოლეჯის დირექტორსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა შესაძლოა გახდეს კოლეჯის თანამშრომლისთვის მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებიდან, კოლეჯის შინაგანაწესიდან ან სხვა შიდაუწყებრივი განაწესიდან გამომდინარე დისციპლინური წარმოების დაწყების, ხოლო სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევის/გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში კი, შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

8. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელია ვიდეომონიტორინგის სისტემიდან ვიდეოჩანაწერ(ებ)ის გადახვევა, დათვალიერება ან/და გადმოწერა მისი შესაბამისი სამსახურისთვის (იგულისხმება როგორც კოლეჯის შიდა სტრუქტურული ერთეულები, ასევე გარე მესამე პირები/დაწესებულებები) გადაცემის მიზნით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/სამსახურის თანამშრომელმა ერთობლივად წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორსა და ამასთანავე დაასაბუთოს ვიდეოჩანაწერების შესაბამისი ფორმით გამოთხოვის მიზანი. დირექტორის მიერ დადასტურების შემდეგ ვიდეომონიტორინგის წვდომაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ჩანაწერები შესაბამის პირს, ხოლო შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის/კანონიერი ინტერესის მიღწევის შემდეგ, აღნიშნული ვიდეოჩანაწერ(ებ)ის დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, განადგურებაზე მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის ვიდეომონიტორინგის წვდომაზე უფლებამოსილ თანამშრომელს, რის თაობაზეც უნდა შედგეს აღნიშნული პროცედურის განხორციელების დამადასტურებელი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ შემდეგი პირები: კოლეჯის დირექტორი და ვიდეომონიტორინგის წვდომაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი.
9. ვიდეოჩანაწერების ადმინისტრირებას ახდენს კოლეჯის ვიდეომონიტორინგის წვდომაზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 7. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე თავით გათვალისწინებული უფლებების, კერძოდ, მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების, მათ შორის მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლების, ასევე მონაცემთა გასწორების, განახლების, შევსების, დამუშავების შეწყვეტის, წაშლის, განადგურების, დაბლოკვის, გადატანის, მის მიერ გაცხადებული

თანხმობის გამოთხოვისა და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის პრაქტიკაში ეფექტიანი რეალიზების პროცესს.

2. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლ(ებ)ის არსებობიდან გამომდინარე შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტისთვის ვიდეომონიტორინგის მეშვეობით დამუშავებული მონაცემ(ებ)ის გადაცემა, მონაცემთა სუბიექტს ეცნობება მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის (მიზნების) მიღწევას.
3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს კოლეჯის დირექტორს ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.
4. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან/და სასამართლოს.